საქრუსენერგო
სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა
SAKRUSENERGO
JSC UNITED ENERGY SYSTEM

N 01/682
30/12/2022

682-01-2-202212301805

სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოს“

გაცნობებთ, რომ 2022 წლის 26 დეკემბერს სს გეს „საქრუსენერგოში“ შემოვიდა შპს „გამა კონსალტინგის“ წერილი (N195/03). აღნიშნული წერილით შპს „გამა კონსალტინგი“ გვაცნობებს, რომ 330 კვ ეგხ „1,2 გარდაბნის“ ელექტროგადამცემი ხაზის პროექტში შეტანილი ცვლილებების (ექსპლუატაციის პირობების ცვლილების) გამო მომზადებულ სკრინინგის ანგარიშის 3.3.2. პარაგრაფში გაპარულია მექანიკური უზუსტობა, რის გამოც გვთხოვს შევწყვიტოთ სკრინინგის გადაწყვეტილების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

შესაბამისად მოგმართავთ თხოვნით შეწყვიტოთ ჩვენი 2022 წლის 21 ნოემბრის N01/588 წერილით მოთხოვნილი, გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში გამავალი ორჯაჭვა 330 კვ ეგხ „1,2 გარდაბნის“ N9; N11; N12; N13; N14; N15 და N35 ანძების ადგილმდებარეობისა და ელექტროგადამცემი ხაზის პროექტში შეტანილი ცვლილებები გამო საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა-კონსალტინგის“ მიერ შესრულებული სკრინინგის ანგარიშის განხილვა.

დანართი:

- შპს „გამა კონსალტინგის“ 2022 წლის 26 დეკემბრის წერილი N195/03 – 1 ფურც.

პატივისცემით,

ბაჩანა სულაძე

გენერალური დირექტორი

მარკ ბრომშტეინის ქ. 1: 0178, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 20 33 88; ფაქსი: +995 322 20 33 88
www.sakrusenergo.ge ელ.ფოსტა:info@sakrusenergo.ge
ს/კ 211324468

1 Mark Bronstein Str., 0178, Tbilisi. Georgia
Tel: +995 322 20 33 88; Fax: +995 322 20 33 88
www.sakrusenergo.ge E-mail:info@sakrusenergo.ge
i/w 211324468

სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგო“-ს
გენერალურ დირექტორს ბატონ ბაჩანა სულაძეს

ბატონო ბაჩანა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგო“-ს და შპს „გამა კონსალტინგს“ შორის 2022 წლის 3 ოქტომბრის N07/242 ხელშეკრულების შესაბამისად ჩვენი კომპანიის მიერ მომზადებული იქნა 330 კვ ეგხ ,,1,2 გარდაბანი’’-ს ელექტროგადამცემი ხაზის პროექტში შეტანილი ცვლილებების (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) სკრინინგის ანგარიში.

სკრინინგის ანგარიშის 3.3.2. პარაგრაფში გაპარულია მექანიკური უზუსტობა, კერძოდ: აღნიშნულია, რომ „პროექტში შეტანილ ცვლილებას დაქვემდებარეული 7 ანძიდან არც ერთი არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების საზღვრებში“. სინამდვილეში 1 ანძა - N14, რომელიც თავდაპირველი პროქტის წერტილიდან გადანაცხვლებუოლია 2.8 მ-ით, მდებარეობს ზურმუხტის ქსელის „გარადაბანი“ უბნის ფარგელებში. მართალია ზურმუხტის ქსელის სისტემა საქართველოს კანონმდებლობით შექმნილ დაცულ ტერიტორიას არ წარმაოდგენს, მაგრამ სსიპ „გარემოს ერვნულ სააგენტოში მიმდინარე ექსპერტიზის პროცესი არსებობს დოკუმენტაციის დახარვეზების რისკი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ზემოთ აღნიშნული და შეწყვიტოთ 330 კვ ეგხ ,,1,2 გარდაბანი’’-ს ელექტროგადამცემი ხაზის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე დაწყებული სკრინინგის გადაწყვეტილების მიზნით შექმნილი ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

პატივისცემით,

ზურაბ მგალობლიშვილი

შპს „გამა კონსალტინგი“-ს დირექტორი